

ცენტრის ძირითადი მიზნები და ფუნქციები

- კეთილმოწყობის სამუშაოების ორგანიზება და წარმოება;
- სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანების მოვლა-პატრონობა.
- კომუნალური მეურნეობის მოწესრიგება (წყალსანიაღვრე არხებისა და კოლექტორების მოვლა და მათი გამართული მუშაობა);
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების ფასადების და სახურავების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-პატრონობა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბაღების, პარკების, სკვერებისა და შადრევნების მოვლა-პატრონობა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზეიმო მოწყობის ორგანიზაცია და მასთან დაკავშირებული სამუშაოების წარმოება;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელებისა და ღამის დეკორატიული განათებების რემონტი და მოვლა-პატრონობა;
- მოედნების, სავალი და ტროტუარული ნაწილების სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების წარმოება;
- მოსაცდელეების მოვლა-პატრონობა;
- სხვა საწარმოების, ორგანიზაციების, კერძო პირების დაკვეთების შესრულება;
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირება.
- სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება, ნარჩენების გატანა;
- დაქვემდებარებულ სფეროში დამკვეთის ფუნქციის განხორციელება;
- სენაკის მუნიციპალიტეტში დასუფთავების პოლიტიკის რეალიზაციის, დასუფთავების პროცესების განხორციელების ხელშეწყობა და მონიტორინგი;
- სენაკის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სამუშაოების განხორციელება, რომელიც დაკავშირებულია დასუფთავებასთან;
- სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების წესების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
- სასაფლაოზე საფლავების (სამარეების) დადგენილი წესით გამოყოფა;
- სასაფლაოს გასასვლელეების, ბილიკების, საზოგადოებრივი სარგებლობის სხვა ადგილების და არსებული ქონების მოვლა-პატრონობა;
- დაინტერესებული პირებისათვის სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე შესაბამისი მომსახურების გაწევა;
- საქმიანობის სფეროში პრობლემეტიკის პროცესების კვლევა, დარგის განვითარებისათვის სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრა, სახელმძღვანელო წინადადებების შემუშავება ან მათი მომზადების პროცესში მონაწილეობის მიღება, მათი განხორციელების ხელშეწყობა, მონიტორინგი და საჭირო დოკუმენტაციის მომზადება;
- სხვა მომსახურება საქართველოს კანონმდებლობის, წინამდებარე წესისა და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერის სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
- განახორციელოს დასუფთავების სფეროს მომსახურება, რეაბილიტაცია და განვითარება;
- დასუფთავების სამუშაოებზე და საფლავის მოვლა-პატრონობაზე დაინტერესებულ პირთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მიიღოს შენატანი/ ანაზღაურება, რათა განახორციელოს დასუფთავების სამუშაოები, მოაწყოს საფლავი, ძეგლი და სხვა; წესრიგში იქონიოს და მოუაროს საფლავს, ძეგლს და სხვა.